2024 წლის „ მაგისტრანტთა კვლევითი პროექტის“
კონკურსის პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მაგისტრანტთა კვლევითი პროექტის“ მიზანია ფაკულტეტის მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს შორის სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაზრდის, აკადემიური დონის ამაღლებისა და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა.

1.2. კონკურსი ფინანსდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობა და კონკურსის პირობები

2.1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს. პროექტის დაწყების პერიოდში მაგისტრანტს დაგროვებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 30 კრედიტი და მისი GPA უნდა, იყოს 3.0 ან მეტი.

2.2 კონკურსანტი პროექტის დაწყების ეტაპისთვის არ შეიძლება იყოს დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი.

2.3 კონკურსის მონაწილე მაგისტრანტს უნდა ჰყავდეს სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროექტში ანაზღაურების გარეშე ჩართული ფაკულტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც აკადემიურ ხელმძღვანელობას უწევს მაგისტრანტის მიერ დაგეგმილ/განსახორციელებელ კვლევას.

2.4. კონკურსანტს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი, ინდივიდუალური პროექტი.

2.5 პროექტის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი ვალდებულია კვლევის შედეგებზე დაფუძნებით, ინდივიდუალურად ან ხელმძღვანელთან ერთად დაწერილი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნოს Google Scholar-ში ან/და სხვა სამეცნიერო ბაზაში ინდექსირებულ ჟურნალში.

2.6 საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს მაქსიმუმ 4 თვე. პროექტის განხორციელება უნდა დაიწყოს საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების დღიდან.

2.7 პროექტისათვის მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 2 000ლარს.

2.8 პროექტის ბიუჯეტში დაფინანსება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგ მუხლებს/ხარჯვით კატეგორიებს:

ა) კვლევის შედეგად სტატიის გამოქვეყნებისთვის აუცილებელი ხარჯები

ბ)კვლევის პროცესის განხორციელებისთვის საჭირო სხვა აქტივობები(ფოკუს ჯგუფების ჩატარება, სიღრმისეული ინტერვიუები, რაოდენობრივი კვლევა, საველე სამუშაოები და სხვ.)

გ) ხელფასი პროექტის განმახორციელებელი მაგისტრანტისთვის.

მუხლი 3. კონკურსში მონაწილეობისთვის წარსადგენი დოკუმენტები

3.1 კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი პროექტის დოკუმენტაცია მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

ა) განცხადება ფაკულტეტის დეკანის სახელზე კონკურსში მონაწილეობის შესახებ

ბ) ხელმძღვანელის თანხმობის წერილი

გ) საპროექტო წინადადება

დ) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

ე) პროექტის განხორციელების ბიუჯეტი

ვ) მაგისტრანტისა და მაგისტრანტთა კვლევითი პროექტის ხელმძღვანელის პროფესიული ბიოგრაფიები (CV)

ზ) ცნობა ფაკულტეტის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შესახებ. ცნობაში სავალდებულოა მითითებული იყოს: მაგისტრანტის აქტიური სტატუსი, კრედიტების რაოდენობა და ინფორმაცია მაგისტრანტის GPA-ის შესახებ.

3.2. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გამარჯვებულმა უნდა წარმოადგინოს:

ა) სტუდენტის აქტიური სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) მიზნობრივი საბანკო ანგარიშის (ლარის) რეკვიზიტები, რომელზეც მოხდება გრანტის თანხის ჩარიცხვა.

3.3. კონკურსანტი პროექტში მონაწილეობისთვის საჭირო დოკუმენტაციას წარადგენს ფაკულტეტის ადმინისტრაციულ სამსახურში, კანცელარიაში როგოც მატერიალური სახით, ასევე CD დისკზე ჩაწერილს.

3.4. მაგისტრანტს კვლევის წარმართვისთვის მოთხოვნილი ხარჯები (ინტერვიუ, ფოკუს ჯგუფი, მივლინება და სხვ.) ჩაირიცხება მაგისტრანტის მიერ გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვადებში. ხელფასის შემთხვევაში, მაგისტრანტს ხელფასი დაერიცხება სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 4. კვლევითი პროექტის შეფასების კრიტერიუმები:

- საკვლევი თემის აქტუალურობა და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა - 20 %
- კვლევითი პროექტის სამეცნიერო ღირებულება და ინოვაციურობა- 20 %
- კვლევის მეთოდოლოგია - 20 %
- ბიუჯეტი-20%

- აქტივობები, მათი განმახორციელებელი პერსონალის კომპეტენციის გათვალისწინებით - 20%

მუხლი 5. მოთხოვნა საპროექტო წინადადების მიმართ

საპროექტო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

5. 1. **თავფურცელი**: თავფურცელი უნდა შეიცავდეს კვლევითი პროექტის სახელწოდებას ქართულ და ინგლისურ ენებზე, პროექტის აბსტრაქტს (მაქსიმუმ 100 სიტყვა), მაგისტრანტისა და პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელის სახელსა და გვარს, მის აკადემიურ სტატუსსა და პროექტის ბიუჯეტს.

5.2. პროექტის შინაარსობრივი ნაწილი უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისგან:

- **პრობლემის დასმა და აკადემიური ლიტერატურის მიმოხილვა** (400-700 სიტყვა): საკვლევ საკითხთან დაკავშირებული აკადემიური დებატების გათვალისწინებით უნდა დასაბუთდეს საკვლევი პრობლემის აქტუალურობა.
- **პროექტის სამეცნიერო ღირებულება და ინოვაციურობა** (300-500 სიტყვა): უნდა დასაბუთდეს პროექტის სამეცნიერო ღირებულება და ორიგინალურობა;
- **განხორციელების გზები** (400-800 სიტყვა):

  ა) **კვლევის მეთოდოლოგია:** უნდა აღიწეროს სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები და გამოყენებული მეთოდები;

  ბ) **აქტივობები:** უნდა აღიწეროს კონკრეტულად რა სამუშაოები/აქტივობები განხორციელდება პროექტის მიზნის მისაღწევად

5.3 პროექტის ბიუჯეტი : პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 2 000 ლარს.

5.4 სამუშაო გეგმა(დანართი 2)წარმოდგენილი უნდა იყოს თვეების მიხედვით. უნდა აისახოს ყოველი თვის განმავლობაში განსახორციელებელი სამუშაოები/აქტივობები.

5.5. ბიბლიოგრაფია: APA სტილი;

5.6.საპროექტო წინადადება უნდა იყოს წარმოდგენილი შრიფტით Sylfaen, ზომა 11, ინტერვალი 1.5, ველი სტანდარტული (1 პუნქტი, ანუ 2.54 სმ. ზემოთ, ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ).

მუხლი 6. პროექტის შესრულების მონიტორინგი

6.1 პროექტის მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური.

6.2 მაგისტრანტი ვალდებულია საანგარიშო პერიოდის ბოლოს წარმოადგინოს: პროექტის ფარგლებში განხორცილებული პროგრამული აქტივობების ანგარიში, ამოცანების შესრულების (შედეგების) ამსახველი დოკუმენტაცია

6.3 კვლევითი პროექტის შედეგად დაწერილი სამეცნიერო სტატია უნდა გამოქვეყნდეს (ან მიღებული უნდა

იყოს გამოსაქვეყნებლად) კვლევის დასრულებიდან მაქსიმუმ 4 თვის ვადაში.

6.4. გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „მაგისტრანტთა კვლევითი პროექტის“ ფარგლებში.

დანართი 2

პროექტის გეგმა-გრაფიკი

#	აქტივობის ტიპი	განმახორციელებელი პირი	I თვე	II თვე	III თვე	IV თვე
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						